ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2018 წლის 2 თებერვალი

ქ. ჭიათურა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, აგრეთვე „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის საფუძველზე
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანდართული თანამდებობრივი სარგოები (დანართი №1).
მუხლი 2
დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანდართული საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები (დანართი №2).
მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 01 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ციცქიშვილი**

დანართი №1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	2740
2	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2220

3	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1860
4	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1860
5	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1200

დანართი №2

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხა და თანმდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	რანგი	კატეგორია	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	I		1	1600
2	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი	III	II	5	800
3	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი	III	III	3	750